



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 193/ს  
02/05/2023

193-21-4-202305021436



**მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში საქართველოს საავტომობილო გზების  
დეპარტამენტის მიერ მდ. ვახას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების  
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდ. ვახას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდ. ვახას მარცხენა ნაპირზე, საავტომობილო გზისა და მასზე არსებული ხიდის მიმდებარედ. არსებული მდგომარეობით, მდინარის ჭალა-კალაპოტში მყარი ნატანის აკუმულაციის შედეგად ჭალა-კალაპოტის ნიშნულები თითქმის მთლიანად გაუსწორდა ჭალისზედა ტერასის ნიშნულებს. წყალდიდობების დროს წყლის ნაკადი გადმოდის ნაპირიდან და ტბორავს ადგილობრივი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. ავარიული უბნის დასაცავად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება. საპროექტო ტერიტორიის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-4710742 Y-280989; X-4710320 Y-280774; X-4710722 Y-280978; X-4710311 Y-280773; X-4710716 Y-280991; X-4710302 Y-280785. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 60 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს მდ. ვახას მარცხენა სანაპიროს გასწვრივ არსებული მცირე ზომის გაბიონის კედლის დემონტაჟს და 456 მეტრი სიგრძისა და 2.3 მეტრი სიმაღლის ნაპირსამაგრი ნაგებობის, კერძოდ, გაბიონის კედლის მოწყობას. ნაპირდაცვითი სამუშაოების საწყის ეტაპზე მოხდება ბულდოზერით მდინარის კალაპოტის გაჭრა და დროებითი (დამცავი) გრუნტის ჯებირის მოწყობა, რომლის სიგრძე იქნება 475 მეტრი, ხოლო საშუალო სიმაღლე - 0.9 მეტრი. აღნიშნულის

შემდგომ განხორციელდება არსებული გაბიონის კედლის დემონტაჟი და დემონტაჟის შედეგად მიღებული ქვის (დაახლოებით 63 მ<sup>3</sup>) სამშენებლო მოედანზე დასაწყობება, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება საპროექტო გაბიონის კედლის მოსაწყობად. გაბიონის კედელი წარმოდგენილი იქნება 30 სმ სისქის ლეიბებზე განთავსებული 924 ერთეული (462 ერთეულის პარამეტრები - 2.0X1.0X1.0 და 462 ერთეულის - 1,5X1.0X1.0) გაბიონის ყუთის სახით, რომლებიც მოქსოვილი იქნება 2.7 მმ დიამეტრის მავთულით. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის დასაწყისში მოეწყობა ე.წ. ჩამკეტი, ხოლო ნაპირსამაგრის ბოლო დაუერთდება ხიდის სარეგულაციო კედელს. ნაპირდაცვითი სამუშაოების ბოლო ეტაპზე მოხდება დროებითი (დამცავი) გრუნტის ჯგებრის დემონტაჟი, რის შედეგადაც მიღებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის. საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნება დაახლოებით 40 მ<sup>3</sup> მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომელიც ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება ექსკავატორი, ბულდოზერი, ამწე და ოთხი ავტოთვითმცლელი. ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები განლაგდება სამშენებლო მოედანზე. პროექტის მცირე მასშტაბის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკისა და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამუშაოების დასრულების შემდგომ დემობილიზებული იქნება ყველა დროებითი კონსტრუქცია და გაყვანილი იქნება ტექნიკა/ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს და დასაქმდება 10 ადამიანი.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. ვახას ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ვახას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. სკრინინგის განცხადების თანახმად, 100 წლიანი მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 135 მ<sup>3</sup>/წმ-ს. მდინარე ვახას კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე 2.23 მეტრის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე შეადგენს 3.57-3.60 მეტრს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. ხმაურითა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, ინტენსიური ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, საქმიანობის მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება მდ. ვახას წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირსამაგრი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ვახას და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებებიდან გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. ნაპირსამაგრი სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორია დასუფთავდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია, საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საკვლევ უბანზე გამოიყოფა ამგები გრუნტის ორი ფენა (საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - სგე) სგე 1 წარმოდგენილია კენჭნარით, კენჭით (40-45%) და ხრემით (20-25%), კენჭების ჩანართებით 10%-მდე და თიხნარის შემავსებლით. გრუნტი ტენიანი და წყალგაჯერებულია, ხოლო სიმძლავრე მერყეობს 2.7-3 მეტრის ფარგლებში. სგე 2 ძირითადად წარმოდგენილია ნაცრისფერი, მყარი თიხის სახით. სიმძლავრე დამიებულ სიღრმემდე მერყეობს 7-7.30 მეტრის ფარგლებში. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III (რთული) სირთულის კატეგორიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად,

ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიამი საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მდ. ვახას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის ნაპირის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ, შემცირდება მიმდინარე ინტენსიური ეროზიული პროცესების გავლენა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ვახას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო